




# ანიამცირი პერსონაჟების განვითარება

ანა მარკოზაშვილი

**კურსის ხანგრძლივობა:** 12 კვირა

**კურსის აღწერა:**

კურსის მიზანია ანიმაციური პერსონაჟების დიზაინის ყოველი ეტაპის (ბრიფის განხილვა, სტილის შერჩევა, პერსონაჟების ლაინაფის დადიზაინება, პერსონაჟის როტაცია, ჟესტები, ექსტრემალური პოზები, ემოციების შითები და ფროფების დიზაინი) საფუძვლიანად შესწავლა.

კურსის ფარგლებში სტუდენტები შექმნიან ციფრულ ნახატებს თითოეული მიმართულებით, გავლილი მაგალითებისა და სავარჯიშოების საფუძველზე. შედეგად ყოველი სტუდენტი მიიღებს მის ინდივიდუალურ საჭიროებებზე, კარიერულ მიზნებზე და გემოვნებაზე მორგებულ პროფესიონალურ პორტფოლიოს პერსონაჟების დიზაინში.

**კურსის განმავლობაში გამოყენებული პროგრამები:**

Adobe Photoshop ან ნებისმიერი ციფრული სახატავი პროგრამა, რომელსაც აქვს PSD ფაილების ექსპორტის საშუალება (მაგ: Procreate, Krita, Clip Studio). კურსის ფარგლებში პროგრამის ფუნქციონალს გავივლით ფოტოშოპის მაგალითზე.

**მინიმალური ტექნიკური მოთხოვნები:**

ციფრული ხატვისთვის კომპიუტერის და სახატავი პლანშეტის ნებისმიერი კომბინაცია, ან iPad სახატავი კალმით, ან ნებისმიერი სხვა Android პლანშეტი სახატავი კალმით.

**პრერეკვიზიტები:**

კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, აუცილებელია ხატვის და სამხატვრო ფუნდამენტური უნარების საშუალო დონეზე ცოდნა. კურსის ფარგლებში არ შევისწავლით ხატვის საწყისებს ან ფუნდამენტურ პრინციპებს ნულიდან. სასურველია, ციფრული ხატვის გამოცდილებაც, თუმცა სახატავ პროგრამას უფრო დეტალურად ლექციებზე გავივლით. კურსის დაკომპლექტება მოხდება მონოდებული პორტფოლიოს საფუძველზე - მსურველებმა უნდა გამოგზავნონ საკუთარი შესრულებით მინიმუმ ხუთი ციფრული ნახატი მეილზე [enroll@das.edu.ge](mailto:enroll@das.edu.ge) (AI-ით დაგენერირებული ნამუშევრები არ მიიღება) ან დალინკონ სოციალური მედია, ნამუშევრებით. რელევანტური გამოცდილების შემთხვევაში, თან დაურთონ პროექტები, რომელზეც უმუშავიათ.

**სწავლების ფორმატი:** ონლაინ შეხვედრები



### **კვირა 1, შეხვედრა 1**

**თემა: კურსის მიმოხილვა, გაცნობითი შეხვედრა**

- ანიმაციის წარმოება - რა ეტაპებს მოიცავს? რა ტიპის საქმეს აკეთებს ამ მხრივ დასაქმებული ადამიანი საქართველოში? უცხოეთის ბაზარზე?
- ლექტორის გამოცდილება - ნამუშევრების დათვალიერების საფუძველზე სფეროს ნიუანსების გავლა.
- სტუდენტების გაცნობა

**დავალება:** გამოგზავნეთ თქვენთვის საინტერესო სამი პერსონაჟის სტილის რეფერენსი.

### **კვირა 1, შეხვედრა 2**

**თემა: Style Warmup - რა ქმნის ანიმაციურ სტილს?**

- რა კომპონენტებად იშლება ანიმაციის სტილები და პერსონაჟის სტილები?
- ფუნდამენტები: ფორმა, სილუეტი, ტონი, კომპოზიცია, პროპორციები, ა.შ.
- როგორ ვარჩევთ სხვის შექმნილ დიზაინს? "რენტგენის დანათების" ტექნიკა

**დავალება:** თქვენივე არჩეულ სტილებში დახატეთ არსებული პერსონაჟი - ერთი და იგივე პერსონაჟი შესრულებული სამ სხვადასხვა სტილში.

### **კვირა 2, შეხვედრა 3**

**თემა: Style Warmup - უკუკავშირი**

- შესრულებული სკეჩების გარჩევა, შედარება რეფერენსთან.
- სკეჩის გასუფთავება - ხაზების ვარიაცია, დაბუშავების ვარიაცია, რას ცვლის დიზაინში?

**დავალება:** სამივე პერსონაჟი ერთ ხაზზე დააყენეთ, გაასწორეთ უკუკავშირის მიხედვით, გაასუფთავეთ და გააფერადეთ.

### **კვირა 2, შეხვედრა 4**

**თემა: პროექტის იდეა, მუდბორდები**

- პროექტის იდეის მაგალითი და template რომლის მიხედვითაც ამბავი და პერსონაჟების ხასიათი უნდა ჩამოვწეროთ
- მნიშვნელოვანი რესურსები რეფერენსების მოსაძიებლად
- მუდბორდების შედგენა 2D ანიმაციისთვის

**დავალება:** შერჩეული პროექტის ბრიფის დანერა. პერსონაჟების და სტილის მუდბორდების შედგენა. დაურთეთ პერსონაჟების სკეჩები რამე თუ გაქვთ.



### **კვირა 3, შეხვედრა 5**

#### **თემა: იდეის და მუდბორდების პრეზენტაცია**

- წარადგინეთ თქვენი იდეა და მუდბორდები ჯგუფთან. მაქსიმუმ 7 წუთი თითო ადამიანზე.
- მუდბორდებზე უკუკავშირი - ვყალიბდებით რა პროექტზე ვიმუშავებთ კურსის ფარგლებში.

**დავალემა:** გაასწორეთ უკუკავშირის მიხედვით. პერსონაჟის მუდბორდიდან “რენტგენი დაანათეთ” და გაარჩიეთ ორი დიზაინი გავლილი ფუნდამენტების მიხედვით.

### **კვირა 3, შეხვედრა 6**

#### **თემა: დიზაინის ფუნდამენტები - მთავარი პერსონაჟის ძიება**

- პერსონაჟის ხასიათი, ფორმა, სილუეტი. ჩვენი ბრიფის, მუდბორდების და რეფერენსების გამოყენებით დეტალური დემონსტრაცია, როგორ ვიწყებთ პერსონაჟის დიზაინის ძიებას.
- პროპორციის ძიება; სილუეტების ძიება

**დავალემა:** გააკეთეთ თქვენი პროექტის მთავარი პერსონაჟის უხეში ჩანახატები - მინიმუმ 6 ვარიაცია. განასხვავეთ პროპორციით, ხასიათით, სტილით. დაურთეთ სილუეტების ტესტი.ნა.

### **კვირა 4, შეხვედრა 7**

#### **თემა: პერსონაჟის ძიების უკუკავშირი**

- დამატებითი დიზაინის ფუნდამენტები: negative space, ასიმეტრია, overlap, რითმი, ა.შ.

**დავალემა:** გაასწორეთ პერსონაჟის სკეჩები უკუკავშირის მიხედვით

### **კვირა 4, შეხვედრა 8**

#### **თემა: ანატომია #1**

- ტანის აგებულება, პროპორციები, ასაკი, სქესი, ფორმა, კიდურები, ა.შ.
- ტანის ქესტი - პოზის რითმი, observational drawing
- პერსონაჟის აგება - ნაწილებად დაშლის სავარჯიშო

**დავალემა:** პერსონაჟი დაშალეთ 16 ნაწილად და განუსაზღვრეთ პროპორციები. აარჩიეთ რამდენიმე პოზის სურათი და მოხაზეთ მათი სახასიათო ქესტი.



**კვირა 5, შეხვედრა 9**

**თემა: პერსონაჟის აგების და ქესტების უკუკავშირი**

**დავალემა:** გაასწორეთ ნამუშევრები უკუკავშირის მიხედვით

**კვირა 5, შეხვედრა 10**

**თემა: ანატომია #2 - ექსტრემალური პოზები**

- რთული პოზების გარჩევის ტექნიკა - როგორ ვიყენებთ ჩვენს პერსონაჟებზე?
- ხელების და ფეხების როტაცია - ხელის და ფეხის ანატომიის მიმოხილვა, სტილში ჩასმა

**დავალემა:** გარჩეულ პოზებში სწორი პროპორციები დასვით ჩახატეთ თქვენი მთავარი პერსონაჟი. მინიმუმ სამი განსხვავებული ექსტრემალური პოზა.

**კვირა 6, შეხვედრა 11**

**თემა: ექსტრემალური პოზების უკუკავშირი**

**დავალემა:** გაასწორეთ ნამუშევრები უკუკავშირის მიხედვით

**კვირა 6, შეხვედრა 12**

**თემა: პერსონაჟების ლაინაფი**

- პერსონაჟების ანსამბლის დაგეგმვა - კონტრასტი ფორმებში, პროპორციებში
- პერსონაჟების ასაკი, სქესი, რასა, პროფესია, ერთმანეთთან დამოკიდებულება, ა.შ.

**დავალემა:** გააკეთეთ თქვენი პროექტის მინიმუმ სამი პერსონაჟის ჩანახატები. დააყენეთ ყველა ერთ ხაზზე და გააკეთეთ თითოეულის რამდენიმე ვარიაცია.

**კვირა 7, შეხვედრა 13**

**თემა: ლაინაფის უკუკავშირი**

**დავალემა:** გაასწორეთ ნამუშევრები უკუკავშირის მიხედვით



**კვირა 7, შეხვედრა 14****თემა: ლაინაფი 2 - დიზაინების დახვეწა****დავალემა:** გაასწორეთ ლაინაფები უკუკავშირის მიხედვით**კვირა 8, სემინარი 15****თემა: ლაინაფი 2 - უკუკავშირი****დავალემა:** გაასწორეთ ნამუშევრები უკუკავშირის მიხედვით. გაასუფთავეთ ხაზში.**კვირა 8, სემინარი 16****თემა: პერსონაჟების როტაცია - სამი პოზა**

- ტექნიკური მოთხოვნები 2D ანიმაციაში - პერსონაჟის დატრიალების მაგალითები
- წინხედი, 3/4, გვერდხედი - ტექნიკური დატრიალების დეტალური დემონსტრაცია, აგება, ანიმაციურ პროგრამაში შეტანა შესაძომნებლად

**დავალემა:** დაატრიალეთ თქვენი პროექტის მთავარი პერსონაჟი სამ ძირითად ხედში: წინხედი, სამი მეოთხედი და პროფილი.**კვირა 9, შეხვედრა 17****თემა: პერსონაჟის როტაციის უკუკავშირი****დავალემა:** გაასწორეთ ნამუშევრები უკუკავშირის მიხედვით.**კვირა 9, შეხვედრა 18****თემა: პერსონაჟების სრული როტაცია - 8 პოზა**

- დარჩენილი ხუთი პოზის დამატება, მეორე 3/4, მეორე პროფილი, ზურგი, ორივე ზურგის 3/4.
- ბიუსტის დატრიალება ახლოდან - რატომ გვჭირდება?
- გადაკვეთები დიზაინში (overlaps)

**დავალემა:** დაატრიალეთ თქვენი პროექტის მთავარი პერსონაჟი მინიმუმ ხუთ ან რვავე ხედში უხეშად.

**კვირა 10, შეხვედრა 19**

**თემა: პერსონაჟის როტაციის უკუკავშირი**

**დავალემა:** გაასწოროთ ნამუშევრები უკუკავშირის მიხედვით. გაასუფთავეთ ხაზში.

**კვირა 10, შეხვედრა 20**

**თემა: პერსონაჟის ემოციები, ინტერაქციის სკეჩები**

- სახის გამომეტყველებების გავლა, ემოციების შითები, ექსპრესიული პოზების მაგალითები

**დავალემა:** დახატეთ მინიმუმ 5 განსხვავებული ემოცია, რაკურსის ცვლილებით + 2 სკეჩი - ორი პერსონაჟის ერთმანეთთან ინტერაქციის.

**კვირა 11, შეხვედრა 21**

**თემა: ემოციების უკუკავშირი + ფროფების დიზაინი**

**დავალემა:** გაასწოროთ ნამუშევრები უკუკავშირის მიხედვით. თუ რაიმე მნიშვნელოვანი ფროფები აქვს პერსონაჟს - დაამატეთ.

**კვირა 11, შეხვედრა 22**

**თემა: პერსონაჟების ლაინაფის გაფერადება და დამუშავება**

- გაფერადების ტექნიკები
- ფერების თეორიის პრაქტიკაში გამოყენება
- დამუშავების მაგალითები ტექსტურით, უხაზოდ, გლუვი ბრაშებით, შუქ-ჩრდილით, ა.შ.

**დავალემა:** გააფერადეთ თქვენი ლაინაფი იმ სტილში, რაც მუდბორდში გაქვთ შერჩეული.



### **კვირა 12, შეხვედრა 23**

#### **თემა: გაფერადების უკუკავშირი**

**დავალემა:** გაასწორეთ ნამუშევრები უკუკავშირის მიხედვით. როდესაც საბოლოო ვიზუალს მიაგნებთ, პერსონაჟის შითშიც შემოიტანეთ ფერები.

### **კვირა 12, შეხვედრა 24**

#### **თემა: პორტფოლიოს შეკვრა**

- პორტფოლიოს პრეზენტაციის მაგალითები
- პორტფოლიოს ლოგიკის დალაგება

**დავალემა:** მოიძიეთ მაგალითები, რომლის მიხედვითაც საკუთარ პორტფოლიოს გადააწყობთ. მოაწესრიგეთ და მოაგროვეთ ამ კურსის მასალა. დაასრულეთ და ააწყვეთ საბოლოოდ თქვენს მიერ შერჩეულ ფორმატში პორტფოლიო. შეკარით ერთი PDF და გაუზიარეთ ჯგუფს. გაამზადეთ პორტფოლიო საპრეზენტაციოდ გარე აუდიტორიისთვის.



